ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4768733

ნომერი: AR1717560

თარიღი : 08.11.2019

გაცემის თარიღი : 27.11.2019

გაცნობის თარიღი : 27.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუხაიძე , შესახვევი I , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კონსტანტინე ურუშაძე პ/ნ 01008050556
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 12 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 აპრილის №4448779 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 08 ნოემბერს NAR1717560 განცხადებით მომართა კონსტანტინე ურუშაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 08

აპრილის №4448779 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2019 წლის 08 აპრილის №4448779 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – ჩუღურეთი), ბუხაიძის ქუჩა, I შესახვევი N6-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 31 მაისის N4522079 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 01 ივნისისდან 2021 წლის 01 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, რომ სამსახურის 2019 წლის 08 აპრილის №4448779 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 1005.95 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1006.19 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 297.72 კვ.მ-ის ნაცვლად 308.97 კვ.მ. დამხმარე ფართობი 43.42 კვ.მის ნაცვლად 34.09 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი 223.68 კვ.მ-ის ნაცვლად 237.15 კვ.მ, საერთო ფართობად 1800.52კვ.მ-ის ნაცვლად 1816.15კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები რადგან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ველში არ იყო დაფიქსირებული ავტოსადგომის ფართობი, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 აპრილის №4448779 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 აპრილის №4448779 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 237.15 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 1006.19 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 308.97 კვ.მ, დამხმარე ფართობად 34.09 კვ.მ საერთო ფართობად 1816.15 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 აპრილის №4448779 ბრძანებით შეთანხმებული 0,00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს 2019 წლის 08 ნოემბრის №AR1717560 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 აპრილის №4448779 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 აპრილის №4448779 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.